

შპს "აჭარაფეი"

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia
GMT პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „აჭარაფის“ მფლობელებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „აჭარაფის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების საფუძველზე, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საადრიცხო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.



შპს "აჭარაფი"

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

შპს KPMG Georgia

თბილისი, საქართველო

22 ივნისი, 2021 წელი



შპს "აჭარაფი"

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

ნათია

შპს KPMG Georgia
თბილისი, საქართველო
22 ივნისი, 2021 წელი

შპს "აჭარაფი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის,
 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	813	943	728
აქტივი გამოყენების უფლებით	15	707	807	1,125
არამატერიალური აქტივები	9	1,375	410	14
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,895	2,160	1,867
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	841	601	564
სხვა მიმდინარე აქტივები		40	132	41
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	9,738	5,802	1,920
სულ მიმდინარე აქტივები		10,619	6,535	2,525
სულ აქტივები		13,514	8,695	4,392
კაპიტალი				
12				
საწესდებო კაპიტალი		29	29	29
კაპიტალში შენატანების რეზერვი		272	-	-
გაუნაწილებელი მოგება		652	1,113	1,085
სულ კაპიტალი		953	1,142	1,114
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	15	560	683	902
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		560	683	902
მიმდინარე ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	15	367	235	223
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	11,590	6,630	2,153
საგადასახადო ვალდებულებები		44	5	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,001	6,870	2,376
სულ ვალდებულებები		12,561	7,553	3,278
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,514	8,695	4,392

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-43 გვერდებზე

შპს "აჭარაფი"
2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	3,812	3,628
გაყიდვების თვითღირებულება*	6(a)	(342)	(575)
მთლიანი მოგება		3,470	3,053
სხვა შემოსავალი		4	98
სახელფასო ხარჯები	6(b)	(1,952)	(1,447)
მარკეტინგის ხარჯები		(31)	(117)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(c)	(1,098)	(873)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	(47)
სხვა ხარჯები		(46)	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,123)	(2,386)
კორექტირებული EBITDA	7	347	667
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9,15	(699)	(497)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(352)	170
ფინანსური შემოსავალი		78	28
ფინანსური ხარჯები		(187)	(170)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(109)	(142)
(ზარალი)/მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(461)	28
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
(ზარალი)/მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(461)	28

*გაყიდვების თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 22 ივნისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
კონსტანტინე კაჭკაჭიშვილი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-43 გვერდებზე

შპს "აჭარაფი"
2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	3,812	3,628
გაყიდვების თვითღირებულება*	6(a)	(342)	(575)
მთლიანი მოგება		3,470	3,053
სხვა შემოსავალი		4	98
სახელფასო ხარჯები	6(b)	(1,952)	(1,447)
მარკეტინგის ხარჯები		(31)	(117)
სხვა საოპერაციო ხარჯები	6(c)	(1,098)	(873)
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	(47)
სხვა ხარჯები		(46)	-
სულ საოპერაციო ხარჯები		(3,123)	(2,386)
კორექტირებული EBITDA	7	347	667
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9,15	(699)	(497)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(352)	170
ფინანსური შემოსავალი		78	28
ფინანსური ხარჯები		(187)	(170)
წმინდა ფინანსური ხარჯები		(109)	(142)
(ზარალი)/მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(461)	28
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
(ზარალი)/მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(461)	28

*გაყიდვების თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 22 ივნისს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი
კონსტანტინე კაჭკაჭიშვილი



მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-43 გვერდებზე

შპს "აჭარაფი"
2020 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალში შენატანების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	29	1,085	-	1,114
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის მოგება	-	28	-	28
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	29	1,113	-	1,142
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	29	1,113	-	1,142
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი	-	(461)	-	(461)
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრესთან				
კაპიტალის ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებული გარიგებები (იხილეთ შენიშვნა 12(c))	-	-	272	272
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრესთან	-	-	272	272
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	29	652	272	953

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის (ზარალი)/მოგება დაბეგრამდე		(461)	28
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		699	497
თანამშრომელთა კაპიტალის ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებული წილობრივი გადახდების ხარჯი		272	-
წმინდა ფინანსური ხარჯები		109	142
გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე		-	47
		619	714
<i>ცვლილებები:</i>			
სხვა მიმდინარე აქტივებში		92	(93)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(243)	(82)
საგადასახადო ვალდებულებებში და საგადასახადო აქტივებში		39	7
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		4,960	4,468
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადისა და პროცენტის გადახდამდე		5,467	5,014
გადახდილი პროცენტი	15	(85)	(99)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,382	4,915
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		78	30
ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები		-	2
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(174)	(443)
არამატერიალური აქტივების შეძენა	9	(1,104)	(402)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,200)	(813)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	15	(242)	(217)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(242)	(217)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		3,940	3,885
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		5,802	1,920
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(4)	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	9,738	5,802

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	12. კაპიტალი	18
2. აღრიცხვის საფუძველი	12	13. კაპიტალის მართვა	18
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	12	14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	15. იჯარები	19
5. შემოსავალი	13	16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	21
6. ხარჯები	14	17. პირობითი ვალდებულებები	26
7. კორექტირებული შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის გამოკლებამდე (კორექტირებული EBITDA)	15	18. დაკავშირებული მხარეები	26
8. ძირითადი საშუალებები	16	19. COVID-19-ის გავლენა	27
9. არამატერიალური აქტივები	17	20. შეფასების საფუძველი	28
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	28
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18	22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	42
		23. ფასს-ზე გადასვლის განმარტება	42

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „აჭარაფი“ (შემდგომში, „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2013 წლის 4 აპრილს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი N1 და კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404984978.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფულადი გადარიცხვების მომსახურება. კომპანია ოპერირებს 19 სალარო დახლის საშუალებით. COVID-19-ის აფეთქების გამო, კომპანიის სალაროების საქმიანობა იქნა შეჩერებული 2020 წლის 31 მარტიდან 2020 წლის 27 მაისამდე (იხ. შენიშვნა 19).

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას სრულად ფლობს შპს „ატლასი“ (მშობელი კომპანია), რომელიც დაფუძნებულია 2018 წლის 13 დეკემბერს, საქართველოში. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 49%-იანი წილის მფლობელია შპს „სითი ლოფტი“ (უმცირესობაში მყოფი აქციონერი) შპს „ატლასში“ მისი 49%-იანი წილის საშუალებით და კომპანიის 51%-იანი წილის საბოლოო მფლობელია „Flutter Entertainment PLC“ (უმრავლესობაში მყოფი აქციონერი), მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია სათამაშო ბიზნესისა და სპორტული ფსონების მიმართულებით, რომელიც მოქმედებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში და რომელიც ფლობს მაკონტროლებელ წილს კომპანიაში (51%) მისი 100%-იანი წილის საშუალებით შპს „ატლას ჰოლდინგს“-ში. უმრავლესობაში მყოფი აქციონერი არის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი - ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.

შემდეგი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტს:

მფლობელობის წილი (%) 31 დეკემბერს

„The Capital Group Companies, Inc.“

„Caledonia (Private) Investments Pty Limited“

შპს „Fastball Holding“

„BlackRock Inc.“

„Massachusetts Financial Services Company“

„Parvus Asset Management Europe Limited“

„Citigroup Global Markets Limited“

	2020	2019
„The Capital Group Companies, Inc.“	17.08%	13.05%
„Caledonia (Private) Investments Pty Limited“	10.26%	5.10%
შპს „Fastball Holding“	6.71%	-
„BlackRock Inc.“	5.71%	6.07%
„Massachusetts Financial Services Company“	3.21%	7.99%
„Parvus Asset Management Europe Limited“	-	8.85%
„Citigroup Global Markets Limited“	-	5.24%

სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობდნენ განთავსებული აქციების 3%-ზე ნაკლებს. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანიის დაფინანსებისა და ვალდებულებების დიდი ნაწილი (და მისი საკრედიტო დაქვემდებარებები) დაკავშირებულია უმრავლესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის ქვეშ არსებული ჯგუფის სხვა კომპანიებთან. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც უმრავლესობაში მყოფი აქციონერი აკონტროლებს. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული უმრავლესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის მომსახურების საფასურის განსაზღვრა ხდება უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ კონტროლირებად ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად (იხილეთ შენიშვნა 16).

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 18-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგების სრული ნაკრები, რომელიც მომზადებულია ფასს-ების შესაბამისად და რომელშიც გამოყენებულია ფასს 1-ი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“.

განმარტება იმისა, თუ როგორ იმოქმედა ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის მიერ წარმოდგენილ ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე, მოცემულია 23-ე შენიშვნაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(b) - უმრავლესობის აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფ ჯგუფზე დამოკიდებულება;
- შენიშვნა 5 – განსაზღვრა იმისა, მოქმედებს თუ არა კომპანია კლიენტებთან დადებულ გარიგებებში როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);
- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 16 - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
ონლაინ თამაშების გადარიცხვებიდან:		
წმინდა საკომისიო შემოსავალი:		
- ინკოგნიტო ბარათებიდან*	606	1,713
- საბანკო გადარიცხვებიდან*	1,480	762
- სწრაფი გადახდის პროვაიდერებისგან*	488	289
სულ წმინდა საკომისიო შემოსავალი	2,574	2,764
შემოსავალი:		
- სალაროს დახლებიდან	1,227	812
- „ფეიბოქსებიდან“	1	50
- სხვა	9	2
სულ შემოსავალი	1,237	864
სულ შემოსავალი ონლაინ თამაშების გადარიცხვებიდან	3,811	3,628

* წმინდა საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიაზე დარიცხული ტრანზაქციის საკომისიოს გამოკლებული ბანკებისთვის და სწრაფი გადახდის პროვაიდერებისთვის გადახდილი საკომისიო ხარჯი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის

ფინანსური ინფრასტრუქტურის გამოყენებით მის მომხმარებლებზე/(მისი მომხმარებლებისგან) გადახდების განხორციელების დროს. აღნიშნულ გარიგებებში, კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი და არა როგორც პრინციპალი, შემდეგი მსჯელობის საფუძველზე:

- კომპანია არ არის ძირითადი პასუხისმგებელი პირი დაკავშირებული მხარის მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის ოპერაციებში;
- კომპანიას არ აქვს თავისი მომსახურებისთვის ფასების დადგენის უფლებამოსილება;
- კომპანიას აქვს ფულის დაკარგვის რისკი მხოლოდ დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, სანამ თანხა გადაერიცხება დაკავშირებულ მხარეს ან მის მომხმარებელს.

შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება. ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების ხასიათის შესახებ წარმოდგენილია შენიშვნაში 21(a).

6. ხარჯები

(a) გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2020	2019
ტექნიკური მხარდაჭერა	221	450
ინკოგნიტო ბარათების თვითღირებულება	103	100
პერსონალიზაცია	18	25
	342	575

(b) სახელფასო ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და დასაქმებულთა გასამრჯელოები	1,611	1,447
კაპიტალის ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებული წილობრივი გადახდები (იხ. შენიშვნა 12(c))	341	-
	1,952	1,447

უმრავლესობაში მყოფი აქციონერი იყენებს წილობრივი ინსტრუმენტებით დაკმაყოფილებულ მოკლევადიან სტიმულირების პროგრამებს ყველა თანამშრომლისთვის, რის მიხედვითაც მათ პირობითად ენიჭებათ აქციები, რომლებიც მომავალ მომსახურების პერიოდებზე გადადის. სამართლიანი ღირებულება ფასდება აქციების მინიჭების თარიღისთვის და ნაწილდება პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც თანამშრომლებს ექნებათ უპირობო უფლება აქციებზე, კაპიტალში აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვის შესაბამისი ზრდით. პირობითად მინიჭებული აქციების სამართლიანი ღირებულება ფასდება აქციების საბაზრო ფასის გამოყენებით, მინიჭების თარიღისთვის.

(c) სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
IT ხარჯები	334	190
პროფესიული მომსახურება	160	138
ბანკის საკომისიო	133	100
საოფისე მარაგები	120	38
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	87	92
კომუნიკაციის ხარჯები	77	68
უსაფრთხოება	40	40
კომუნალური ხარჯები	37	34
საოპერაციო იჯარები	35	86
შეკეთება და ტექნიკური მხარდაჭერა	11	29
მივლინების ხარჯები	7	17
დაზღვევა	3	3
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	13
სხვა ხარჯები	54	25
	1,098	873

7. კორექტირებული შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის გამოკლებამდე (კორექტირებული EBITDA)

ხელმძღვანელობამ წარმოადგინა კომპანიის საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებელი - კორექტირებული EBITDA, რადგან ხელმძღვანელობა აღნიშნული მაჩვენებლის მონიტორინგს ახორციელებს და მიაჩნია, რომ ის მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გასაგებად. კორექტირებული EBITDA გამოითვლება წლის მოგების კორექტირებით, რათა გამოირიცხოს დაბეგვრის, გაუფასურების, წმინდა ფინანსური ხარჯების, ცვეთისა და ამორტიზაციის გავლენა.

კორექტირებული EBITDA არ წარმოადგენს ფასს-ში განსაზღვრულ საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებელს. კორექტირებული EBITDA-ს კომპანიის ფინანსური განმარტება შეიძლება არ იყოს შესაძარისი სხვა საწარმოების მსგავსად შედგენილ საქმიანობის მიმდინარეობის მაჩვენებლებთან და ახსნა-განმარტებებთან.

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	კომპიუტერული ტექნიკა	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	საიჯარო კეთილმოწყობა	სხვა აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	58	119	71	500	75	823
შესყიდვები	58	108	-	277	-	443
გაყიდვები	-	(2)	(7)	-	-	(9)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	116	225	64	777	75	1,257
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	116	225	64	777	75	1,257
შესყიდვები	59	46	-	-	69	174
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	175	271	64	777	144	1,431
ცვეთა						
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(18)	(8)	(7)	(18)	(44)	(95)
წლის ცვეთა	(25)	(53)	(9)	(129)	(8)	(224)
გაყიდვები	-	-	5	-	-	5
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(43)	(61)	(11)	(147)	(52)	(314)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(43)	(61)	(11)	(147)	(52)	(314)
წლის ცვეთა	(40)	(78)	(9)	(166)	(11)	(304)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(83)	(139)	(20)	(313)	(63)	(618)
საბალანსო ღირებულებები						
2019 წლის 1 იანვარს	40	111	64	482	31	728
2019 წლის 31 დეკემბერს	73	164	53	630	23	943
2020 წლის 31 დეკემბერს	92	132	44	464	81	813

2020 წლის განმავლობაში, ძირითადი საშუალებების შესყიდვები ძირითადად მოიცავს IT აღჭურვილობასა და საოფისე აღჭურვილობას საღარო დახლებისთვის.

9. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	განვითარების ხარჯები	სულ
თვითღირებულება			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	31	-	31
შესყიდვები	-	402	402
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	31	402	433
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	31	402	433
შესყიდვები	462	642	1,104
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	493	1,044	1,537
ამორტიზაცია			
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(17)	-	(17)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(6)	-	(6)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(23)	-	(23)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(23)	-	(23)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(19)	(120)	(139)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(42)	(120)	(162)
საბალანსო ღირებულებები			
2019 წლის 1 იანვარს	14	-	14
2019 წლის 31 დეკემბერს	8	402	410
2020 წლის 31 დეკემბერს	451	924	1,375

განვითარების ხარჯები ძირითადად თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციისგან შედგება. პროდუქტი - ვებგვერდი "Incognito.ge" - ამოქმედდა 2020 წლის სექტემბერში, შესაბამისად, 2019 წლის განმავლობაში ამორტიზაცია არ დარიცხულა.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მოთხოვნები სწრაფი გადახდის პროვადერებისგან	793	585	437
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	42	4	101
სხვა მოთხოვნები	6	12	26
	841	601	564

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის შესახებ განხილულია მე-16 შენიშვნაში.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფულადი სახსრები სალაროში	2,142	1,179	705
ფულადი სახსრები ბანკში	7,596	4,568	1,206
ფულადი სახსრები გზაში	-	55	9
	9,738	5,802	1,920

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის და საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

12. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

(b) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ პერიოდულად გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილნი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

2020 და 2019 წლებში და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის დივიდენდები არ გამოცხადებულა.

(c) კაპიტალში შენატანების რეზერვი

კაპიტალში შენატანების რეზერვი წარმოადგენს კომპანიის აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვში შეტანილ ოდენონებს, რომლებიც უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ კომპანიის თანამშრომლებზე გაცემულ აქციებზე დაფუძნებული გადახდების გაცემას უკავშირდება.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ვალდებულებები მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ *	10,305	5,093	625
ვალდებულებები პროვაიდერების მიმართ	987	1,262	1,399
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	291	263	129
სახელფასო ვალდებულებები	-	12	-
სხვა ვალდებულებები	7	-	-
	11,590	6,630	2,153

* ვალდებულებები მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ წარმოადგენს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის საბანკო ანგარიშებზე გადასარიცხ ფულად სახსრებს, კომპანიასა და მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით (იხილეთ შენიშვნა 18).

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 16-ე შენიშვნაში.

15. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით იღებს სალარო დახლების სივრცეებს. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, ფორმდება 1-დან 2 წლამდე ვადით და ავტომატურად ახლდება, თუ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული მხარეების მიერ. საშუალო საიჯარო ვადა შეადგენს 5 წელს, რადგან ხელმძღვანელობის შეფასებით, საიჯარო ვადა გაგრძელდება თავდაპირველ სახელშეკრულებო ვადაზე დიდ ხანს. ამ დაშვებას ხელმძღვანელობა აკეთებს იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ საიჯარო კეთილმოწყობის ნარჩენი სასარგებლო მომსახურების ვადა აჭარბებს იჯარის თავდაპირველ სახელშეკრულებო ვადას.

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ თავისი საიჯარო გადახდების დისკონტირება იჯარის აღიარების თარიღისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით განახორციელა. ლარისთვის და აშშ დოლარისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთები იყო 16% და 9%, შესაბამისად.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარის სახით მოქმედებს, წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) წლის გავლენა

’000 ლარი	საოფისე და სალარო ფართები
აქტივები გამოყენების უფლებით	
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	1,125
შესყიდვები	64
ჩამოწერა	(115)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,074
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	1,074
შესყიდვები	180
ჩამოწერა	(54)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,200
ცვეთა	
ცვეთის დარიცხვა 2019 წლისთვის	(267)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(267)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(267)
წლის ცვეთა	(256)
ჩამოწერა	30
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(493)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვარს	1,125
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	807
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	707
საიჯარო ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვარს	1,125
შესყიდვები	64
საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა	(115)
პროცენტის დარიცხვა	99
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(217)
გადახდილი პროცენტი	(99)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	61
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	918
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 1 იანვარს	918
შესყიდვები	180
საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა	(27)
პროცენტის დარიცხვა	85
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(242)
გადახდილი პროცენტი	(85)
უცხოური გაცვლითი კურსის გავლენა	98
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	927

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში		
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	85	99
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	35	-

(iii) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2020	2019
საიჯარო ვალდებულებების დაფარვები (-)	(242)	(217)
გადახდილი პროცენტი (-)	(85)	(99)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(327)	(316)

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოებით განსაზღვრა. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვა ან ვალდებულებების გადაცემა.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულებებისგან არსებითად არ განსხვავდება.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე :

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

გენერალურ დირექტორსა და ფინანსურ დირექტორს აქვთ სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ისინი პასუხს აგებენ კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენენ ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ტრენინგების, მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინიზებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და მოვალეობა.

შშობელი კომპანია ზედამხედველობას უწევს, თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, კომპანიის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული კონტრაგენტის ინდივიდუალური მახასიათებლებით. გეოგრაფიულად საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას მოთხოვნებთან მიმართებაში. მოცემული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან რისკს.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მაქსიმალური საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის კონტრაგენტების სახეობის მიხედვით არის შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფულადი სახსრები ბანკში	7,596	4,568	1,206
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	799	597	463
	8,395	5,165	1,669

ბანკში არსებული ნაშთები

საბანკო ნაშთები განთავსებულია დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქართულ ბანკებში. საბანკო ნაშთების არსებითი ნაწილი განთავსებულია ორ ქართულ ბანკში მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ძირითადად უკავშირდება მოთხოვნებს სწრაფი გადახდის პროვაიდერებისგან, რომლებიც დაკმაყოფილებულია მაქსიმუმ 5 დღის ვადაში. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის, არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული და ნაშთების არსებითი ნაწილი იქნა შეგროვებული საანგარიშგებო თარიღების შემდეგ. აღნიშნულ გარემოებებში, ხელმძღვანელობას

სჯერა, რომ კომპანია არსებითად არ ექვემდებარება საკედიტო რისკს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიის მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულებების დროულად დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებითი დაფინანსების ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,590	11,590	11,590	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	927	1,036	218	218	412	188
	12,517	12,626	11,808	218	412	188

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიციის და კომპანიის მიერ 2020 წლის განმავლობაში აღიარებული 352 ათასი ლარის ოდენობით საოპერაციო ზარალის მიუხედავად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კვლავ შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით მომზადება და რომ არ არსებობს არსებითი გაურკვეველობა კომპანიის უნართან დაკავშირებით განაგრძოს ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპის მიხედვით.

მშობელმა კომპანიამ გამოთქვა განზრახვა, აუცილებლობის შემთხვევაში, ახლო მომავალში უზრუნველყოს დამატებითი ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა კომპანიისთვის, რათა მისცეს ბიზნესს საოპერაციო არსებობის გაგრძელების საშუალება. მშობელი კომპანია აკონტროლებს რამდენიმე ბიზნესს, რომლებიც ვებგვერდის www.adjarabet.com-ის საშუალებით ფუნქციონირებენ. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ვებგვერდი www.adjarabet.com-ის ფარგლებში ფუნქციონირებადი ბიზნესების ზოგადი ფინანსური შედეგები არის საკმარისი იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს მის ვალდებულებებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	6,630	6,630	6,630	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	918	1,082	161	151	301	469
	7,548	7,712	6,791	151	301	469

1 იანვარი 2019 წელი

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	2,153	2,153	2,153	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,125	1,442	175	212	338	717
	3,278	3,595	2,328	212	338	717

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 1 იანვარი 2019
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	23	17	9
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(173)	(157)	(73)
საიჯარო ვალდებულება	(811)	(756)	-
წმინდა დაქვემდებარება	(961)	(896)	(64)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი		
	2020	2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677	2.6727

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო 10%-იანი გამყარება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებით, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის, გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასა და მოგებაზე ან ზარალზე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო შემოსავლებისა და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2020	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	96
'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2019	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	88
'000 ლარი	მოგება ან ზარალი
1 იანვარი 2019	
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	6

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურებას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი მუდმივი დარჩებოდა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ან მათი მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა ექვემდებარებოდეს კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა, ფულადი სახსრების ანაზრებზე განთავსებისას ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის თუ ცვლადი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღებისთვის, კომპანია არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკზე.

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულს ან როგორც სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულს. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

17. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ობიექტებისთვის, საქმიანობის შეწყვეტისთვის, ან მესამე პირის ვალდებულებებისთვის ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

18. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას სრულად ფლობს შპს „ატლასი“ (მშობელი კომპანია). 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, "Flutter Entertainment PLC" ფლობდა კომპანიის აქციების 51%-ს და ბატონი თეიმურაზ უგულავა ფლობდა 49%-იან წილს კომპანიაში. შპს "ატლასის" და შპს "ატლას ჰოლდინგის" (შენიშვნა 1 (b)) წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდის საშუალებით. "Flutter Entertainment PLC"-ის წლიური ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე: www.flutter.com.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია სახელფასო ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 6(ბ)):

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	132	104

(ც) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	გარიგების ღირებულება დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი		
	2020	2019	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მომსახურების გაყიდვა:					
მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანია*	3,803	3,626	(10,305)	(5,093)	(625)
მომსახურების შესყიდვა:					
უმრავლესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები	(45)	(84)	(20)	(6)	-
ფასს 16 უმცირესობაში მყოფი აქციონერისგან	(7)	(11)	(69)	(91)	(178)
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	(4)	-	(1)	(12)

ცხრილში წარმოდგენილი არც ერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი. წინა და მიმდინარე წლებში არ ყოფილა აღიარებული ხარჯი უიმედო ან საეჭვო ვალებზე, დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

*მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიაზე მომსახურების გაყიდვა წარმოადგენს გადახდის მომსახურებას, რომელიც გაწეული იყო მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიაზე - შპს „ავიატორზე“ 2020 და 2019 წლებში. მხარეებმა დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი და აგროვებს ფულს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის კლიენტებისგან მისი ფინანსური ინფრასტრუქტურის გამოყენებით და გადასცემს მათ მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიას (იხილეთ შენიშვნა 14). დაუფარავი ნაშთი წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიაზე გადასახდელ წმინდა ოდენობას.

19. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის პანდემიამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსპორტზე გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კაზინოების, კინოთეატრების, თეატრების, მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. ზემოაღნიშნული შეზღუდვების შედეგად,

2020 წლის მარტში, კომპანიამ თავისი სალარო დახლების საქმიანობა შეაჩერა და კვლავ აღადგინა 2020 წლის მაისიდან (იხილეთ შენიშვნა 1).

კომპანია ამჟამად ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში მუშაობს და თანამშრომლები ძირითადად დისტანციურ რეჟიმში, სახლიდან მუშაობენ.

თუმცა, რადგან კომპანიის ძირითადი საქმიანობა ფულად გადარიცხვებს უკავშირდება, რომელზეც არსებითი გავლენა არ ჰქონია COVID-19-ის გავრცელებას, საერთო ჯამში, პანდემიამ არ იქონია არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. სექტორში მომსახურებაზე მოთხოვნა სტაბილურია და ფასები არ არის მერყევი. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ უახლოეს მომავალში, COVID-19-ის პანდემია კომპანიის ბიზნესზე არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს.

20. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში. სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა 2019 წლის 1 იანვრისთვის ფასს-სთან შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ფასს-ზე გადასვლის მიზნებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული).

(a) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გადახდის მომსახურების გაწევა, პირდაპირი გზით ან შუამავალი პროვადერის საშუალებით.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს 15-ის მიხედვით შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის გზით. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, კომპანია ტრანზაქციის ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავლის შეფასება ხდება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემა კლიენტისთვის.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
შემოსავალი გადარიცხვებიდან ონლაინ თამაშებისთვის	ონლაინ თამაშებისთვის განხორციელებული გადარიცხვების საკომისიო წარმოადგენს საკომისიო შემოსავლის მოთხოვნას მომხმარებლის მიმართ, სადაც კომპანია მოქმედებს, როგორც პრინციპალი. წმინდა საკომისიო შემოსავალი ონლაინ თამაშებისთვის განხორციელებული გადარიცხვებიდან წარმოადგენს წმინდა საკომისიო შემოსავლის მოთხოვნას მომხმარებლის მიმართ და საკომისიო ხარჯის ვალდებულებას პროვადერების მიმართ, სადაც კომპანია მოქმედებს როგორც აგენტი. ფასს 15-ის ფარგლებში, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე და შესაბამისად, აქვს მისი პირდაპირი გამოყენების და მისგან სარგებლობის მიღების შესაძლებლობა. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც კლიენტი განახორციელებს გარიგებას, საკომისიო შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ, აღნიშნულ მომენტში.

(b) გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება წარმოადგენს შემოსავლის გენერირების საქმიანობასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს და ძირითადად შედგება ინკოგნიტო ბარათების თვითღირებულებისგან, მათი პერსონალიზაციისა და დაკავშირებული ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯებისგან. გაყიდვების თვითღირებულება არ მოიცავს სახელფასო ხარჯებს, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე;
- საპროცენტო ხარჯს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე;
- სავალუტო ამონაგებს ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სავალუტო ცვლილებებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიული ღირებულებით ფასდება, კონვერტირებულია ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) დასაქმებულთა გასამრჯელოები

i. დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

ii. აქციებზე დაფუძნებული გადახდების ოპერაციები

გაცემის თარიღისთვის, თანამშრომლებზე გაცემული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს, ზოგადად აღიარებულია ხარჯის სახით და კაპიტალის შესაბამისი ზრდით, უფლებების მინიჭების პერიოდის განმავლობაში გაცემებისთვის. ხარჯად აღიარებული ოდენობა კორექტირდება გაცემების რაოდენობის ასახვის მიზნით, რომელთათვისაც დაკავშირებული მომსახურების შესრულება არის მოსალოდნელი, იმგვარად, რომ საბოლოოდ აღიარებული ოდენობა დაფუძნებული იყოს იმ გაცემების რაოდენობაზე, რომლებიც აკმაყოფილებს დაკავშირებული მომსახურების პირობებს უფლებების მინიჭების თარიღისთვის.

(f) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს, ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე, ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია, ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად, მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარსგადაცილებული წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებსა და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(გ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აღიარდება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. დაუსრულებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
კომპიუტერული ტექნიკა	1-8 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა	1-10 წლამდე
სატრანსპორტო საშუალებები	5-7 წლამდე
საიჯარო კეთილმოწყობა	5 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც ძირითადად კომპიუტერული პროგრამებისგან და ტექნოლოგიებისა და ვებგვერდის განვითარების ხარჯისგან შედგება, კაპიტალიზირდება და ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

(i) კვლევა და განვითარება

ახალი მეცნიერული ან ტექნოლოგიური ცოდნისა და შემეცნების მოპოვების მიზნით კვლევით საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

განვითარების ხარჯები წარმოადგენს განვითარების სამუშაოებზე გაწეულ, კომპანიის შიგნით წარმოშობილ ხარჯებს. განვითარების ხარჯი კაპიტალიზირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ოდენობის სანდოდ შეფასება არის შესაძლებელი, საქონელი ან პროცესი არის ტექნიკურად და კომერციულად მიზანშეწონილი, მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და კომპანია მიზნად ისახავს და გააჩნია საკმარისი რესურსები, დაასრულოს განვითარების პროცესი და გამოიყენოს ან გაყიდოს მოცემული აქტივი.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯი ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

(ii) კომპიუტერული პროგრამები

კომპიუტერული პროგრამები და ტექნოლოგია მოიცავს კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენისა და გამოყენების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯები აღიარდება ხარჯებად შემოსავლის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განითვლებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხაჯრები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლებელია ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	3-15 წლამდე
განვითარების ხარჯები	3 წელი

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(i) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც ემატება (თუ აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული), გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის ყიდვასთან ან გამოშვებასთან. სავაჭრო მოთხოვნა, მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევ, როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და

- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

იმ კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიამ შეიძლება შეუქცევადად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს ფინანსური აქტივის, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ აღნიშნული აღმოფხვრის ან არსებითად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 10) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11), რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემდგომ შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, სავალუტო ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი არაარსებითია.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევ, როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებული ან გამიზნული ასეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და სავალუტო ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც იწვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ცვლილების შედეგად მიღებულ ამონაგებს ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირების მოთხოვნებს, როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ანუ კომპანია აღიარებს ასეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ განხორციელებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი მისი ნომინალური ღირებულებით ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ ამონაგებსა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო უფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების გადაცემის და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგაქვითვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაგენტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(j) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღიარდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და

- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიუღებელი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშვება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშვება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში .თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს, არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ . როდესაც ფინანსური აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია, როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინები. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტად ვადაგადაცილებულია. კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(k) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(I) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

(i) როგორც მოიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მისი შესაბამისი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯი და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯი, სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ „აქტივი გამოყენების უფლებით“ თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად თავის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია თავის მზარდ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს შემდეგს:

- ფიქსირებული გადახდები, მათ შორის არსობრივი ფიქსირებული გადახდები;
- ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე, რომლებიც თავდაპირველად დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით იქნა შეფასებული;
- ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში გადასახდელი ოდენობები; და
- აღსრულების ფასი შესყიდვის ოპციონის ფარგლებში, რომლის გამოყენებაშიც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, საიჯარო გადახდები არასავალდებულო განახლების პერიოდის განმავლობაში თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია რომ გამოიყენებს გახანგრძლივების შესაძლებლობას, და ჯარიმები იჯარის ნაადრევი შეწყვეტისთვის, გარდა შემთხვევებისა როდესაც კომპანია გონივრულად დარწმუნებულია, რომ არ შეწყვეტს ნაადრევად ხელშეკრულებას.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია, როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების შედეგად, თუ არსებობს ცვლილება კომპანიის შეფასებაში იმ ოდენობისა, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან თუ არსებობს გადახდელი არსობრივი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

(ii) როგორც მეიჯარე

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს, მათი შედარებითი, განცალკევებული ფასების მიხედვით.

როდესაც კომპანია მეიჯარის სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს, იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას.

თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა, გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდება; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, კომპანიამ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად - იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის.

როდესაც კომპანია შუალედური მეიჯარეა, იგი აღრიცხავს თავის წილებს ძირითადი იჯარისა და ქვეიჯარის კატეგორიებში, ცალკე-ცალკე. იგი აფასებს ქვეიჯარის საიჯარო კლასიფიკაციას გამოყენების უფლების მქონე აქტივის მითითებით, რომელიც წარმოიშვება ძირითადი იჯარიდან, და არა შესაბამისი აქტივის მითითებით. თუ ძირითადი იჯარა არის მოკლევადიანი იჯარა, რომელთან მიმართებაშიც კომპანია იყენებს ზემოთ აღწერილ შეღავათს, მაშინ იგი ქვეიჯარას საოპერაციო იჯარის სახით აკლასიფიცირებს.

თუ გარიგება შეიცავს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებს, მაშინ კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული ანაზღაურების გასანაწილებლად იყენებს ფასს 15-ს.

კომპანია იჯარაში წმინდა ინვესტიციაზე იყენებს ფასს 9-ის აღიარების შეწყვეტის და გაუფასურების მოთხოვნებს. კომპანია შემდგომ რეგულარულად მიმოიხილავს იჯარაში მთლიანი ინვესტიციის გამოთვლაში გამოყენებულ სავარაუდო არა-გარანტირებულ ნარჩენ ღირებულებებს.

კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე, „სხვა შემოსავლის“ კატეგორიაში.

(iii) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

22. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

- დამამდიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენეფიციარის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- 2018–2020 წლების ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).

23. ფასს-ზე გადასვლის განმარტება

შენიშვნა 2(a)-ში აღნიშნულის შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშგება კომპანიის ფასს-ს შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას წარმოადგენს.

21-ე შენიშვნაში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები იქნა გამოყენებული 2020 წლის 31 დეკემბრით და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების ფინანსური ანგარიშგების და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი) ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას.

ფასს სტანდარტების შესაბამისი საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიამ დააკორექტირა ადრე "ფასს სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ოდენობები (ადრე გამოყენებული "საბუღალტრო აღრიცხვის ზოგადად აღიარებული პრინციპები" - "GAAP"). ახსნა-განმარტება იმისა, თუ რა გავლენა იქონია გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში და ამ ცხრილების თანმხლებ შენიშვნებში.

კომპანიას არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება ადრე გამოყენებული "GAAP"-ის შესაბამისად, ნებისმიერი პერიოდისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის შემდგომ.

კაპიტალის შეჯერება

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2019	
	ადრე აღრიცხულის შესაბამისად "ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" მიხედვით (არა-აუდიტირებული)	ფასს 16-ზე გადასვლის გავლენა	ფასს
'000 ლარი			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	728	-	728
არამატერიალური აქტივები	14	-	14
აქტივები გამოყენების უფლებით	-	1,125	1,125
სულ გრძელვადიანი აქტივები	742	1,125	1,867
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	39	(39)	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	39	39
საგადასახადო აქტივები	2	-	2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	564	-	564
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,920	-	1,920
სულ მიმდინარე აქტივები	2,525	-	2,525
სულ აქტივები	3,267	1,125	4,392

	1 იანვარი 2019		
	ადრე აღრიცხულის შესაბამისად "ფასს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" მიხედვით	ფასს 16-ზე გადასვლის გავლენა	ფასს
'000 ლარი			
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	29	-	29
გაუნაწილებელი მოგება:	1,085	-	1,085
სულ კაპიტალი	1,114	-	1,114
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები*	-	902	902
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	902	902
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები*	-	223	223
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,153	-	2,153
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,153	223	2,376
სულ ვალდებულებები	2,153	223	3,278
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3,267	1,125	4,392

*კომპანიამ ფასს 16 გამოიყენა ფასს 1-ით ნებადართული შედავათების გამოყენებით და აქტივი გამოყენების უფლებით საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით შეაფასა (კორექტირებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხვებით), 2019 წლის 1 იანვარს არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.